პეკინში ჩინელი მოწამეების ხსენებასთან დაკავშირებით ზეიმი გაიმართა

ყოველწლიურად 23 ივნისს აღესრულება ხსენება მღვდელმოწამე მიტროფანე მღვდლის და მასთან ერთად მრავალი ჩინელი მართლმადიდებელი ქრისტიანის, რომლებიც 1900 წლის იჰეტუანეის აჯანყებისას („მოკრივეთა“ აჯანყება) ქრისტესთვის ევნენ. ამ დღეს ქალაქ პეკინის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში, რომელიც განთავსებულია ჩინეთში რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე სადღესასწაულო საღვთო ლიტურგია ჩატარდა.

ღვთსმსახურება ტაძრის წინამძღვარმა მღვდელმონაზონმა ინოკენტიმ (კოლესნიკოვი) აღავლინა. მას თანამსახურებდნენ გუანჩაუს მართლმადიდებელი კრებულის სულიერი მოძღვარი ბელგოროდის ეპარქიის კლირიკოსი დეკანოზი დიმიტრი ლუკიანოვი და დალიანის მართლმადიდებელი კრებულის სულიერი მოძღვარი ბირობიჯანის ეპარქიის კლირიკოსი მღვდელი ანდრია ბუხტეევი.

ღვთისმსახურების დასრულების შემდგომ მღვდლებმა და ტაძრის მრევლმა ძმური ურთიერთობა საერთო ტრაპეზზე განაგრძეს.

იმავე დღის საღამოს ტაძრის მრევლისთვის და სტუმრებისთვის მოეწყო სეირნობა პეკინის იმ ადგილებში, რომელიც ჩინელი მოწამეების ხსენებასთან არის დაკავშირებული.

***

ჩინელი მოწამეების ლოცვითი მოხსენიება მათი მოწამეობრივი აღსრულებისთანავე დაიწყო. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრებამ 2016 წელს დაადგინა ჩინელი მოწამეების ხსენების ზოგადსაეკლესიო დღესასწაული 10/23 ივნისს, პირველი ჩინელი მართლმადიდებელი მღვდლის მღვდელმოწამე მიტროფანე პეკინელის მოწამეობრივი აღსასრულის დღეს.

პეკინის მიძინების სახელობის ტაძრის საიტი/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87517/